დანართი №2

სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის
მიერ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“
დამატების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე: ვერიკო ჭიღლაძე
წევრები:
მაია გრიგალაშვილი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯი

ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა: საჯარო სამართლის იურიდიული პირი

საიდენტიფიკაციო კოდი: 236098851

სახე:

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება / კოლეჯი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 10 ივლისის MES 7 25 0000854297 ბრძანების საფუძველზე, ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფს დაევალა ვიზიტის განხორციელება სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პროფესიული საგანამანთელბლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების მიზნით. ექსპერტთა ჯგუფის მიერ შესწავლილი იქნა სსიპ- განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრში გამოგზავნილი განაცხადი, თანდართული დოკუმენტაციით და შედგა ვიზიტის დღის წესრიგი, რომლის შესაბამისად 2025 წლის 16 ივლისს განხორციელდა ვიზიტი სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში (მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი).. ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა და გაესაუბრა დაწესებულების დირექტორს, ადმინისტრაციას, პროგრამის ხელმძღვნელს, პროგრამის განმახორციელებელ პროფესიულ მასწავლებლებს, პრაქტიკის ობიექტის წარმომადგენლებსა და შესამოწმებელ საკითხებზე პასუხისმგებელ პირებს. ვიზიტის დროს დათვალიერებული იქნა სასწავლო გარემოები, ბიბლიოთეკა და მატერიალური რეურსები. შესაბამისი ინფორმაცია დეტალურად არის წარმოდგენილი დასკვნაში.

III. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.

II. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ნაწილი II. სტანდარტთან შესაბამისობა და რეკომენდაციები

I. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*	ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
2) საგანმანათლებლო პროგრამები	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.1) საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.3) საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
2.4) სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

IV. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

V. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ნაწილი III. ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

I. ზოგადი ინფორმაცია

პროგრამის სახელწოდება	მოდის ტექნოლოგია და დიზაინი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პროფესიული განათლების დონე	მეოთხე
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	საშუალო პროფესიული კვალიფიკაცია მოდის ტექნოლოგიასა და დიზაინში; Secondary Vocational Qualification in Fashion technology and design
სწავლის დეტალური სფეროს კოდი	0723
პროგრამის დამტკიცების აქტის რეკვიზიტები	სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის დირექტორის მოვალების შემსრულებლის ბრძანება №04-78 17.06.2025
პროგრამის განხორციელების ენა	ქართული
პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები	მცხეთა, სოფელი წინამძღვრიანთკარი
პროგრამის განხორციელების ფორმა (რეალურ სამუშაო გარემოში/იმიტირებულ სამუშაო გარემოში)	რეალურ სამუშაო გარემოში
რეალურ სამუშაო გარემოში სწავლების ფორმა (კოოპერაციული/დუალური)	კოოპერაციული
პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით	30
მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიული სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს სწავლების ფორმის მიხედვით*(არსებობის შემთხვევაში)*	
კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის	90

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	
კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის	120

II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

იმ შემთხვევაში, თუკი ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება მოთხოვნილ პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ რაოდენობას, მიუთითეთ ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართების, განხორციელების ფორმისა და არსებობის შემთხვევაში, ინტეგრირებული სასწავლო გეგმის მიხედვით და შემდეგ დაასაბუთეთ თქვენი შეფასება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით, მისამართებისა და განხორციელების ფორმის მიხედვით	30
სტუდენტთა ზღვრული რაოდენობიდან, პროფესიულ სტუდენტთა ადგილების შესაძლო ზღვრული რაოდენობა ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით იმ სასწავლო გეგმაზე, რომელიც მოიცავს ინტეგრირებულ ზოგად მოდულებს *(არსებობის შემთხვევაში).*	

დასაბუთება

.....
.....
.....
.....

ნაწილი IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

2. საგანმანათლებლო პროგრამები

2.1 საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა და შემუშავება

2.1.1 პროგრამა შემუშავებულია პსდ-ში დანერგილი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის და შემუშავების მეთოდოლოგიის შესაბამისად

1. პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას;
2. საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას;
3. პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით;
4. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას;
5. საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან;
6. საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ;
7. პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი;
8. პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულების მიერ პროგრამის შემუსავება მოხდა დოკუმენტის სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრისბრძანებით №04-111, ბოლო ცვლილება 2020 წლის 6 ოქტომბრის №04-191 ბრძანებით) თანახმად. მექანიზმების თანახმად პროგრამის შემუშავების მიზნით კოლეჯის დირექტორის მოვლეობის შემსრულებლის მიერ 2025 წლის8 მაისის №04-44 ბრძაანებით განისაზღვრა სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში შედიოდა: სასწავლო პროცესის მენეჯერი, საწარმოო პრაქტიკის მენეჯერი, ბიბლიოთეკარი, პროფესიული განათლების მასწავლებლები, მატერიალური რესურსების უზრუნველყოფის კოორდინატორი, შესყიდვების სპეციალისტი და პარტნიორი ორგანიზაცია.

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილის თანახმად 2024 წლის შრომის ბაზრის კვლევის შედეგად გამოიკვეთა, რომ ტექსტილისა და ტანსაცმლის წარმოების სექტორში 2023 წელთან შედარებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ვაკანსიების ზრდა შეადგენს 18%-ს, ხოლო მოთხოვნა კვალიფიციურ მკერავებზე და დიზაინერებზე -25%-ით არის გაზრდილი. კოლეჯის მიერ მცხეთა - მთიანეთის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში პროფორიენტაციული შეხვედრების დროს ჩატარდა მოსწავლეთა გამოკითხვა პროგრამით დაინტერესების შესახებ, რის შედეგადაც დადებითი მაჩვენებელი გამოიკვეთა. დაწესეებულების ადმინისტრაციის მიერ ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ მათ მიერ წინამორბედი პროგრამის კურსდამთავრებულთა უმრავლესობა თვითდასაქმებულია. ასევე უნდა აღინიშნოს ისიც, რომ კოლეჯი წარმოადგენს ერთადერთ პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებას მთელ მცხეთა-მთიანეთის რეგიონში, რაც მას ანიჭებს განსაკუთრებულ როლს ადგილობრივი შრომის ბაზრის საჭიროებებზე რეაგირებასა და რეგიონული განვითარების ხელშეწყობაში. დაწესებულებას შემუშავებული პროგრამის საავტორიზაციო განაცხადის წარდგენის ნება ეძლევა განათლების, მეცნიერების და ახალგაზრდობის სამინისტროს პროფესიული განათლების დეპარტამენტი დეპარტამენტის უფროსის 2025 წლის 4 ივლისის წერილის MES 3 25 0000816673 თანახმად.

„სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის მისიაა მოამზადოს კონკურენტუნარიანი კადრები, როგორც ადგილობრივი, ისე ქვეყნის მასშტაბით შრომის ბაზრისთვის; ხელი შეუწყოს ინდივიდის პიროვნულ და პროფესიულ განვითარებას, ასევე უწყვეტი განათლების მიღების შესაძლებლობის გაზრდას; კოლეჯი მრავალპროფილურია, თუმცა მისი წამყვანი დარგია სოფლის მეურნეობა.“ სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020-2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმის (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივლისის ბრძანებით №04-126) პირველი მიზანი წარმოადგენს „ახალი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება“, რომლის ამოცანაა „მოთხოვნადი და რეგიონზე მორგებული პროგრამების დამატება მოდულური და დუალური მიდგომებით“. შესაბამისად პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა წინააღმდეგობაში არ მოდის დაწესებულების მისიასთან და სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.1 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს გადაწყვეტილება საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შესახებ ეფუძნება შესაბამის დასაბუთებას და შეესაბამება პსდ-ს მისიას და სტრატეგიული განვითარების გეგმას.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 17 ივნისის №04-78 ბრძანებით) მიხედვით პროგრამაზე ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირების გარეშე დაშვების წინაპირობას წარმოადგენს სრული ზოგადი განათლება.

პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა დაშვება ასევე განისაზღვრება პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესით (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის №04-69 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2024 წლის 16 მაისის №04-36 ბრძანებით), რომლის თანახმადაც მოტივაციური გასაუბრების შემდეგ აპლიკანტები გადიან შემოქმედებით ტურს. აღნიშნული მექანიზმები გაწერილია: მუხლი 11. აპლიკანტთა

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შერჩევის ჩატარების ფორმა და პირობები. მექანიზმის თანახმად სეფასება ხდება კომისიის მიერ. დაწესებულების მხრიდან ასევე წარმოდგენილი იქნა შემოქმედებითი ტურის დავალებების მაგალითი, რომელიც ესახრება საბაზისო უნარების გამოვლენას.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.2. შეფასდა შესბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაზე დაშვების წინაპირობები და პროცედურები უზრუნველყოფს პროგრამაზე ისეთ პირთა დაშვებას, რომელთა წინარე ცოდნა, უნარები ან/და გამოცდილება უზრუნველყოფს პროგრამის განხორციელების ვადაში პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.**

3. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'' (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის №04-03 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2022 წლის 20 იანვრის №04-10 ბრძანებით). დოკუმენტის თანახმად დაწესებულების კონკრეტულ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება:

- A სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა;
- B სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა.
- C სასწავლო გარემოში პროფესიულ სტუდენტთა სამუშაო ადგილების რაოდენობა ან სასწავლო გარემოს ფართი, ან პროგრამის განმახორციელებელ საწარმოსთან შეთანხმებული ადგილების რაოდენობა ან რამდენიმე საწარმოს შემთხვევაში - ადგილების ჯამი (დუალური სწავლების შემთხვევაში);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა;
- საწარმოო პრაქტიკის ობიექტების რესურსი;
- მოდულის განმახორციელებელი პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა.
- სწავლების ფორმა, პროგრამის განხორციელების მიდგომები.

შესაბამისად, ერთ გარემოში შესაძლებელია იმდენი მოდულის ერთდროულად განხორციელება, რამდენი მოდულის კვირეულის საათობრივი დატვირთვის ჯამიც არ აღემატება 60 საათს.

შესაძლებელია ერთმა პროფესიული განათლების მასწავლებელმა განახორციელოს რამდენიმე სხვადასხვა მოდული შრომის კოდექსით განსაზღვრული ჩასატარებელი კვირეული საათების (კვირაში მაქსიმუმ 40 საათიანი დატვირთვა) გათვალისწინებით შედგენილი სასწავლო განრიგის მიხედვით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კოლეჯის მიერ ასევე წარმოდგენილი იქნა პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება. დოკუმენტის თანახმად შეჭრილი ცხრილით სწავლების პირობებში პროგრამის რესურსი შესაბაისია მოთხოვნილი კვოტის 30 პროფესიულ სტუდენტისთვის.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ საგანმანათლებლო პროგრამისთვის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრულ ოდენობას განსაზღვრავს შესაბამისი მეთოდოლოგიის მიხედვით.**

4. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ განხორციელებისათვის მოდულების შესაბამისად დამტკიცებული აქვს საჭირო მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობის და რესურსების სია (ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ დანართი 6,), რომლებიც უზრუნველყოფს მოდულებით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. მოდულებში მითითებულია განხორციელებისათვის საჭირო საგანმანათლებლო რესურსი, რომელთა შინაარსი შესაბამისობაშია მოდულის სწავლის შედეგებთან.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.4. შეფასდა შესბამისად, საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს პროფესიული სტუდენტის მიერ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას.**

5. დაწესებულებას პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ არჩევით მოდულად განსაზღვრული აქვს მოდული „ქართული ეროვნული სამოსის გამოჭრა და ტექნოლოგიური დამუშავება“, რომლის \სინაარსი და სწავლის შედეგები მკაფიოდ არის დაკავშირებული მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერინდიკატორი 2.1.1.5 შეფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამის არჩევითი მოდულები, მათი არსებობის შემთხვევაში, ლოგიკურ კავშირშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან ან/და პროფესიული სტუდენტის მომავალ საქმიანობასთან.**

6. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 17 ივნისის №04-78 ბრძანებით. აღნიშნული უფლებამოსილება გაწერილია ‘’სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ მე-2 მუხლში.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.6. შეფასდა შესბამისად, საგანმანათლებლო პროგრამა დამტკიცებულია დაწესებულების უფლებამოსილი პირის/ორგანოს მიერ.**

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

7. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ შემუშავებულია ამავე სახელწოდების პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის საფუძველზე. შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.7. შეფასდა შესბამისად, პროგრამის სახელწოდება შეესაბამება პროგრამის შინაარსს/პროგრამით გათვალისწინებულ მისაღწევ სწავლის შედეგებს და არ არის შეცდომაში შემყვანი.**

8. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ შემუშავებული აქვს პროფესიული საგანმანათლებლო სტანდარტის - „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ (სარეგისტრაციო ნომერი 07.9.1) საფუძველზე. პროგრამით განსაზღვრულია პროგრამის სახელწოდება, მიზანი, მისანიჭებელი კვალიფიკაცია, პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, მისაღწევი სწავლის შედეგები, შეფასების მიმართულებები, კვალიფიკაციის მინიჭების პიროებები, პროგრამის მოცულობა, დაწესებულების მიერ, წარმოგენილ დამტკიცებულ საგანმანათლებლო პროგრამის პაკეტში განთავსებულია პროგრამის ძირითადი დოკუმენტები: მოდულები, სასწავლო გეგმა, ინფორმაცია ადამიანური და მატერიალური რესურსების შესახებ.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა და მოდულები ადაპტირებულია. პროგრამა ითვალისწინებს თეორიული და პრაქტიკული სწავლების კომპონენტებს. ასევე, ქართული ენის მოდულს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.1.1.8 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს საგანმანათლებლო პროგრამა შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებასთან დაკავშირებულ, კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

დასტურდება (მტკიცებულებები):

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ‘’სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრისბრძანებით №04-111, ბოლო ცვლილება 2020 წლის 6 ოქტომბრის №04-191 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 8 მაისის №04-44 ბრძანება სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ფარგლებში პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნისა და

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

პპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილიროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის შესახბ;

- მისია, ხედვა, ღირებულებები.
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის 2020-2026 წწ სტრატეგიული განვითარების გეგმა (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2020 წლის 30 ივლისის ბრძანებით №04-126);
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 17 ივნისის №04-78 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე აპლიკანტთა შერჩევისა და ჩარიცხვის წესი (დამტკიცებულია დირექტორის 2021 წლის 12 ივლისის №04-69 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2024 წლის 16 მაისის №04-36 ბრძანებით);
- ,,პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრის წესი'' (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 იანვრის №04-03 ბრძანებით, ბოლო ცვლილება: 2022 წლის 20 იანვრის №04-10 ბრძანებით);
- პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ მოთხოვნილი სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დასაბუთება;
- ინფორმაცია პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო მატერიალური რესურსის შესახებ დანართი 6;
- პროგრამის პაკეტი;
- პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრება.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

2.2.1 პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები მიიღწევა დაწესებულების მფლობელობაში და ასევე პრაქტიკის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციაში არსებული მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობით, რომელიც პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობის ადეკვატურია. სწავლებისათვის კოლეჯს გამოყოფილი აქვს:

- A სასწავლო გარემო (№312) - გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, საკმით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით და დემონსტრირების საშუალებით.
- AC სასწავლო გარემო (№302- საკონსტრუქტორო, №314-საგამომჭრელო, №311-სამხატვრო) - თითოეული მათგანი გათვლილია 15 პროფესიულ სტუდენტზე და აღჭურვილია სტუდენტების მაგიდებით, სკამებით, დაფით, მასწავლებლის მაგიდით, საკმით, ინტერნეტის ქსელში ჩართული კომპიუტერით და დემონსტრირების საშუალებით და სხვა პროგრამით გათვალისწინებული სხვა შესაბამისი მოდულის განხორციელებისთვის საჭირო ინვენტარით.
- C სასწავლო გარემო (№313 -სახელოსნო) - აუდიტორია გათვლილია 15 სტუდენტზე და აღჭურვილია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამით განსაზრვრული პრაქტიკული სწავლის შედეგების მიღწევისთვის საჭირო ყველა შესაბამისი რაოდენობის მატერიალურ-ტექნიკური არჭურვილობითა და რესურსით.
- დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა შესაბამისი მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

დაწესებულებას ხელშეკრულება გაფორმებული აქვს ორ პრაქტიკის ობიექტთან: ი/მ სალომე კობახიძე და შპს „ფაბრიკ არტი“. ხელშეკრულების დანართად წარმოდგენილია ობიექტებს მიერ იმ მატერიალური რესურსების ფლობა, რომელიც საჭიროა ხელშეკრულებით განსაზღვრული ნაკისრი ვალდებულებით სწავლის შედეგების მიღწევისთვის. აღნიშნული რესურსების ფლობა დასტურდება ექსპერტთა ჯგუფის მიერ პრაქტიკის ობიექტის ვიზუალური დათვალიერებითაც.

შესაბამისად დაწესებულების და პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული სასწავლო ფართი და შესაბამისი აღჭურვილობით შესაძლებელია სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევა სასწავლო პროცესის შეუფერხებელი მიმდინარეობით. კვირის განმავლობაში, ხუთდღიანი სწავლებით შეჭრილ ცვლაში შესაძლებელი იქნება მოთხოვნილი საერთო რაოდენობის (30 პროფესიული სტუდენტი) მომზადება.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.1 შეფასდა შესაბამისად, პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.

2. პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებაში ჩართულია 11 პროფესიული განათლების მასწავლებელი. აქედან 3 პროფესიული მოდულებისთვის, 7 ზოგადი მოდულებისთვის, 1 ქართული ენის მოდულისათვის. გათვალისწინებულია პროფესიული განათლების მასწავლებელთა დატვირთვაც, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულება მასწავლებელთა დატვირთვის სქემით უზრუნველყოფს, რომ მათმა კვირეულმა დატვირთვამ არ გადააჭარბოს 40 საათს. პროგრამის განსახორციელებლად მობილიზებული პროფესიული განათლების მასწავლებლების რაოდენობა საკმარისია პროგრამის მდგრადობისა და სასწავლო პროცესის შეუფერხებლად განხორციელებისტვის, რაც უზრუნველყოფს სგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შეეგების მიღწევას. დაწესებულებას განმახორციელებლებთან გაფორმებული აქვს წინარე ხელშეკრულებები.

ესპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.2 შეფასდა შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.

3. პერსონალის მართვის პოლიტიკის (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შესულია 2023 წლის 23 მარტის № 04-68 ბრძანებით) თანახმად კოლეჯში პერსონალის შერჩევა ხორციელდება კოლეჯის თითოეული თანამდებობისთვის შემუშავებული სამუშაო აღწერილობის, სტრუქტურული ერთეულის დებულების,პროფესიული განათლების მასწავლებლის შემთხვევაში - მისაღწევი სწავლის შედეგების

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

შესაბამისად შემუშავებული საკვალიფიკაციო მოთხოვნების მიხედვით. კოლეჯმა ასევე წარმოადგინა სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შესულია 2023 წლის 24 მაისის № 04-111 ბრძანებით). აღნიშნული დოკუმენტის მუხლი 46 თანახმად პროფესიული მასწავლებლის პოზიციის დასაკავებლად დგინდება შემდეგი საკვალიფიკაციო მოთხოვნები: პროფესიული განათლების მასწავლებელი შეიძლება იყოს პირი, რომელსაც აქვს სრული ზოგადი განათლება და პროფესიული ან უმაღლესი განათლება, ან გავლილი აქვს კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები შესაბამისი მიმართულებით ან/და შესაბამისი მიმართულებით აქვს მუშაობის მინიმუმ 1 წლიანი გამოცდილება. შესაბამისი პროფესიული სტანდარტით შესაძლებელია დადგინდეს პროფესიული განათლების მასწავლებლისათვის დამატებითი მოთხოვნები.

პროფესიული განათლების მასწავლებლების პირად საქმეებში დაცულია პერსონალის კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომები და სერტიფიკატები, რომელთა საფუძველზე დგინდება, რომ პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვალიფიკაცია იძლევა მოდულების სწავლის შედეგების მიღწევის შესაძლებლობას. მათი კვალიფიკაცია შეესაბამება დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.3 შეფასდა შესაბამისად, პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.

4. სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამისთვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ხელმძღვანელი დამტკიცებული ჰყავს დირექტორის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 8 მაისის №04-44 ბრძანებით.

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფის მიერ გადამოწმდა პროგრამის ხელმძღვანელის პირადი საქმე და მოხდა მასთან გასაუბრება, რომლის შედეგადაც დადგინდა, რომ იგი არის შესაბამისი გამოცდილებისა მქონე სპეციალისტი, რომელიც კარგად იცნობს საგანმანათლებლო პროგრამას და პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობებს, არის მოტივირებული და სიახლეების დანერგვაზე ორიენტირებული. ექსპერტთა შეფასებით, პროგრამას ჰყავს დაწესებულების მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი, რომელიც აქტიურად მუშაობს პროგრამის განვითარების მიმართულებით. იღებს მონაწილეობას პროგრამის შეფასების, განვითარების, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების ინსტრუმენტების ვალიდაციის პროცესში.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.4 შეფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.

5. ექსპერტთა ჯგუფის მიერ ვიზიტის დროს განხორციელდა ბიბლიოთეკის დათვალიერება.საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია დაწესებულების ბიბლიოთეკაში, როგორც მატერიალური, ისე ელექტრონული სახით. მატერიალური სახით არსებული საგანმანათლებლო რესურსი დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით. ელექტრონული რესურსი ჩატვირთულია ბიბლიოთეკის კომპიუტერებში. ბიბლიოთეკა სარგებლობს ელექტრონული კატალოგით. კვალიფიციური ბიბლიოთეკარი ახორციელებს საბიბლიოთეკო ფონდის მოხმარების აღრიცხვას, რითაც დასტურდება, რომ ბიბლიოთეკაში არსებული რესურსები ხელმისაწვდომია დაწესებულების პროფესიული სტუდენტებისა და პერსონალისათვის.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.5 შფასდა შესაბამისად, საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

6. ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'' (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის №04-152 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2023 წლის 24 ნოემბრის №04-119 ბრძანებით) თავი V არეგულირებს სასწავლო პროცესში ინკლუზიური განათლების ინტეგრირებისა და ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას. დოკუმენტის თანახმად კოლეჯი ახორციელებს ინკუზიური განათლების დანერგვას, რაც გულისხმოს შეზღუდული შესაძლებლობის (შშმ) და სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტთა ჩართვას სასწავლო პროცესში და მათთვის შესაბამისი სასწავლო გარემოს შექმნის უზრუნველყოფას კვალიფიციური პროფესიული მასწავლებელის და ინკუზიური განათლების სპეციალისტის მეშვეობით და შესაბამისი ინფრასტრუქტურის განვითარების გზით.

სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საჭიროებაზე გადაწყვეტილებას იღებს ინკლუზიური განათლების სპეციალისტი ინტერდისციპლინური გუნდის დასკვნის და პროფესიული მასწავლებლის რეკომენდაციის საფუძველზე. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) სტუდენტებისთვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მიზნით იქმნება კომისია ინკლუზიური განათლების სპეციალისტის, პროფესიული მასწავლებლის, პროგრამის ხელმძღვანელისა და სსსმ/შშმ პირების კანონიერი წარმომადგენლის შემადგენლობით. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის ფარგლებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტის მიმდინარე შეფასება ხორციელდება ინდივიდუალურად განსაზღვრულ მისაღწევ სწავლის შედეგებთან, ხოლო საბოლოო შეფასება და კრედიტების მინიჭება - მოდულის მოთხოვნებთან მიმართებით.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.6 შეფასდა შესაბამისად, სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.

7. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი იქნა პროგრამის საპროგნოზო ბიუჯეტი. პროფესიული საგნმანათლებლო პროგრამისთვის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ რენტაბელობის ზღვარს წარმოადგენს - 7 პროფესიული სტუდენტი. ბიუჯეტის შესაბამისად პროგრამისთვის შემოსავლის სახეობას წარმოადგენს ვაჩერული და პროგრამული დაფინანსება.

ხარჯების ძირითად ნაწილს წარმოადგენს მასწავლებელთა ხელფასი, ძირითადი საშუალება და მასალა ნედლეული, დიპლომების ბეჭდვა, რეკლამის ხარჯი, სტუდენტების მხარდაჭრის ხარჯი (კარიერული მხარდაჭერის ღონისძიებები, სტუდენტური კულტურული, სპორტული და შემეცნებითი ღონისძიებები და სხვა), სხვა ხარჯი (ადმინისტრაციული, კომუნალური და სხვა). წარმოდგენილი მონაცემების საფუძველზე **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.2.1.7 შეფასდა შესაბამისად, პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მაერიალურ-ტექნიკური ბაზის ვიზუალური დათვალიერება;
- მატერიალური რესურსების ფლობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
- დანართი 3. მოდის ტექნოლოგია და დიზაინი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებლები;
- პირადი საქმეები;
- მასწავლებელთა დატვირთვის სქემა;
- პერსონალის მართვის პოლიტიკა (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 26 ივნისის №04-97 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შესულია 2023 წლის 23 მარტის № 04-68 ბრძანებით);
- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში საშტატო ნუსხითა და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანამშრომელთა პოზიციების დასაკავებლად საკვალიფიკაციო მოთხოვნები და უფლებამოსილებები/უფლებამოვალეობები (დამტკიცებულია დირექტორის 2020 წლის 30 აპრილის №04-65 ბრძანებით, ბოლო ცვლილება შესულია 2023 წლის 24 მაისის № 04-111 ბრძანებით);
- კოლეჯის დირექტორის მოვალეობის შემსრულებლის 2025 წლის 8 მაისის №04-44 ბრძანება სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯში პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ ფარგლებში პროგრამის შემმუშავებელი ჯგუფის შექმნისა და პპროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მიზანშეწონილობის დასაბუთების არგუმენტირების ცხრილიროგრამის ხელმძღვანელის განსაზღვრის შესახებ;
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'' (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის №04-152 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2023 წლის 24 ნოემბრის №04-119 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ბიუჯეტი;
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3 საგანმანათლებლო პროგრამების შეფასება და განვითარება

2.3.1 პროგრამის განვითარება უზრუნველყოფილია პროგრამების შეფასებისა და განვითარების პსდ-ში მოქმედი მექანიზმით

1. პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.;
2. პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასების მექანიზმები დარეგულირებულია სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმების (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის ბრძანებით №04-26, ბოლო ცვლილება 2022 წლის 9 მარტის №04-45 ბრძანებით) მუხლი 4. პროგრამების შეფასება: პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების / მომზადება-გადამზადების პროგრამების განხორციელების შესაფასებლად გამოიყენება პროფესიული სტუდენტების/მსმენელების და პროფესიული განათლების მასწავლებლების/პრაქტიკის ინსტრუქტორების/მომზადება-გადამზადების პროგრამის განმახორციელებლების გამოკითხვა, ასევე, სასწავლო პროცესის მიმდინარეობაზე დაკვირვება. მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდით მიღებული მონაცემების დამუშავებისა და ანალიზის საფუძველზე, მუშავდება ანგარიშები, სადაც მოცემულია სხვადასხვა სახის ინფორმაცია. მათ შორის, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/მომზადება - გადამზადების პროგრამების შესახებ ინფორმაცია, კვლევის მიზანი, კვლევის მეთოდოლოგია, ინტერპრეტაციები, დასკვნები და რეკომენდაციები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით ინდიკატორი 2.3.1.1 შეფსდა შესაბამისად, პროგრამის შეფასების მექანიზმი ითვალისწინებს შრომის ბაზრის მოთხოვნებს, უკუკავშირს დაინტერესებული მხარეებისგან, საუკეთესო ადგილობრივ ან/და საერთაშორისო პრაქტიკას და სხვ.

2. „სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურის (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ თანახმად საგანმანათლებლო პროგრამის განვითარების პროცესი მოიცავს რამდენიმე ეტაპს:

- ინფორმაციის შეგროვება - პროგრამის შეფასება ხარისხის უზრუნველყოფის შიდა და გარე მექანიზმების გამოყენებით: დარგში მიმდინარე ცვლილებების შესწავლა, პროგრამის შეფასება პროფესიულ სტუდენტთა შედეგების მიღწევის შესწავლა, სწავლის შედეგების შეფასება, დაინტერესებული მხარეების გამოკითხვა.
- ინფორმაციის დამუშვება - მიღებული ინფორმაციის, გამოკითხვის შედეგებისა და შეფასების შედეგების ანალიზი;
- გასაუმჯობესებელი მხარეების განსაზღვრა -ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის/ხელმძღვანელების და სხვა პირები აანალიზებენ საგანმანათლებლო პროგრამაში გამოკვეთილი გასაუმჯობესებელ მხარეებს.
- რეკომენდაციების მომზადება და ცვლილებები - პროგრამაში გამოვლენილი გასაუმჯობესებელი მხარეების გასწორებასთან დაკავშირებული რეკომენდაციების შემუშავება და შესაბამისი ცვლილებების დაგეგმვა;
- ცვლილებების განხორციელება - აღნიშნული რეკომენდაციების დანერგვა აქტებით განსაზღვრული მხარეების ჩართულობითა და პროცედურებით.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.3.1.2 შეფასდა შესაბამისად, პსდ აანალიზებს პროგრამის განხორციელების ხარისხის შეფასების შედეგებს და საჭიროების შემთხვევაში ახორციელებს ცვლილებებს საგანმანათლებლო პროგრამაში/მოდულებში მის მიერ განსაზღვრული წესებისა და პროცედურების შესაბამისად.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ''სტანდარტის/ჩარჩო დოკუმენტის საფუძველზე შექმნილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების წესი, პროგრამის განვითარების, დამტკიცებისა და მასში ცვლილებების შეტანის პროცედურა (მათ შორის მოდულური, დუალური და ინტეგრირებული პროგრამებისთვის)“ (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2018 წლის 13 დეკემბრის ბრძანებით №04-111, ბოლო ცვლილება 2020 წლის 6 ოქტომბრის №04-191 ბრძანებით);

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის ბრძანებით №04-26, ბოლო ცვლილება 2022 წლის 9 მარტის №04-45 ბრძანებით);
- ინტერვიუს შედეგები.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 სასწავლო პროცესის ორგანიზება და პროფესიულ სტუდენტთა შეფასება

2.4.1 სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სასწავლო მიზნების მიღწევას

1. პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად;
2. პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე;
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას;
4. პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები;
5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით;
6. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ სასწავლო გეგმა. სასწავლო გეგმის შედგენისას გათვალისწინებულია მოდულების ლოგიკური თანმიმდევრობა, სტუდენტთა კვირეული დატვირთვა, განმეორებითი შეფასების შესაძლებლობა. სასწავლო გეგმა იძლევა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისად განხორციელების პროგნოზს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.1. შეფასდა შესაბამისად, პროგრამა ხორციელდება სასწავლო გეგმის/გეგმების შესაბამისად.

2. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად ლექციები/პრაქტიკული მეცადინეობები ტარდება საგანმანათლებლო პროგრამების სასწავლო გეგმის შესაბამისად შედგენილი ცხრილით. სალექციო და პრაქტიკული მეცადინეობების ცხრილი დგება პროგრამების სასწავლო გეგმის მიხედვით და ყოველი სასწავლო კვირის დასაწყისში განთავსდება დაინტერესებულ პირთათვის ხელმისაწვდომ ადგილას.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

ექსპერტთა ჯგუფის სასწავლო პროცესის მენეჯერთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დაწესებულება მუდმივად ორიენტირებულია სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებაზე. სასწავლო პროცესის ორგანიზებისას, კოლეჯის ლოკაციიდან გამომდინარე, გათვალისწინებულია ტრანსპორტის მოძრაობის გრაფიკი და სტუდენტებისთვის გადაადგილების შესაძლებლობის ხელშეწყობა.

ასევე სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესით განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს სტუდენტთა საჭიროებებსა და შესაძლებლობებზე მორგებული სწავლა-სწავლების პროცესის ორგანიზებას. საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, აგრეთვე დამატებითი მეცადინეობებისა და კონსულტაციების ჩატარება სტუდენტის აკადემიური წინსვლისა და ჩართულობის ხელშეწყობის მიზნით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.2. შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ორგანიზებას პროფესიულ სტუდენტთა ინტერესების გათვალისწინებით და მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე.

3. სასწავლო პროცესი ხორციელდება თანამედროვე მეთოდებით. დაწესებულებაში არის შესაბამისად აღჭურვილი ოთახები (მაგ: პროექტორი, კომპიუტერი), რომელიც უზრუნველყოფს ლექციების ვიზუალიზაციას და თანამედროვე გზით მიწოდებას სტუდენტებამდე. სასწავლო პრაქტიკაზე გამოყენებულია თანამედროვე სამარჯვები (თათები, მიმმართველები და სხვა) რაც აადვილებს ტექნოლოგიური პროცესის წარმართვას და ხელს უწყობს ხარისხის ამაღლებას.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.3. შეფასდა შესაბამისად, სასწავლო პროცესი ითვალისწინებს სწავლების თანამედროვე მეთოდებისა და დარგის შესაბამისი ტექნოლოგიების გამოყენებას.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად განსაზღვრულია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის საჭიროების შემთხვევები და ორგანიზებისა და განხორციელების მექანიზმები. იდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენის ინიცირებას ახდენს სასწავლო პროცესის მენეჯერი, რის შემდეგაც სასწავლო გეგმის შესადგენად იქმნება სამუშაო ჯგუფი სასწავლო-საწარმოო პრაქტიკის მენეჯერის, პროგრამის ხელმძღვანელის და სასწავლო პროცესის მენეჯერის შემადგენლობით. ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას ამტკიცებს კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალურ- ადმინისტრაციულ სამართლებრივი აქტით.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.4. შეფასდა შესაბამისად, პროგრამით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისას გათვალისწინებულია პროფესიულ სტუდენტთა ინდივიდუალური საჭიროებები.

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---
---

5. დაწესებულებას გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი 2 პრაქტიკის ობიექტთან:

- ი/მ სალომე კობახიძე - გაფორმების თრიღი: 2025 წლის 11 ივნისი, უვადოდ;
- შპს „ფაბრიკ არტი“ - გაფორმების თრიღი: 2025 წლის 11 ივნისი, უვადოდ.

მემორანდუმის თანახმად თითოეული საწარმო იღებს ვალდებულებას პროფესიული საგანმაათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია და დიზაინი“ 15 პროფესიული სტუდენტისთვის საწარმოო პრაქტიკის მოდულის სწავლის შედეგების მიღწევაზე, მათი შესაბამისი მატერიალური რესურსით და უსაფრთხო სამუშაო პირობების უზრუნველყოფაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.5 შეფასდა შესაბამისად, რადგან 5. პსდ-ს თანამშრომლობა პრაქტიკის კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორთან/სასწავლო საწარმოსთან/თანაგანმახორციელებელ დაწესებულებასთან დასტურდება შესაბამისი ხელშეკრულებით/ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმით.

6. სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია სა დიზაინი“ შრომის უსაფრთხოების წესები. პროგრამით განსაზღვრული მოდულების სწავლებისთვის გამოიყენება დაწესებულების აუდიტორიები, სადაც უზრუნველყოფილია უსაფრთხო სასწავლო გარემო.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.1.6. შეფასდა შესაბამისად, სასწავლო პროცესი მიმდინარეობს უსაფრთხო სასწავლო/სამუშაო გარემოში, პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასწავლო გეგმა;
- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'' (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის №04-152 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2023 წლის 24 ნოემბრის №04-119 ბრძანებით);
- პრაქტიკის ობიექტთან გაფორმებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმები;
- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯს წარმოდგენილი აქვს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „მოდის ტექნოლოგია სა დიზაინი“ შრომის უსაფრთხოების წესები;

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

- ინტერვიუს შედეგები.

2.4.2 შეფასების სისტემა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების დადასტურებას

1. პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური;
2. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს;
3. პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით;
4. პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებულია მათი შემდგომი განვითარებისათვის.

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სასწავლო პროცესის მარეგულირებელ წესში გაწერილია თავი VIII შეფასების სისტემა და შეფასების ინსტრუმენტები, სადაც განსაზღვრულია შეფასების ინსტრუმენტების შედგენის მექანიზმები, შეფასების სისტემის მეთოდოლოგია, შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებების /მონაცემების/ ინფორმაციის სათანადო აღრიცხვის, შევსებისა და შენახვის წესები, პროფესიულ სტუდენტთა განმეორებითი შეფასება, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების გასაჩივრების წესი. თავი სრულად არის მიმართული პროფესიული სტუდენტების შეფასების გამჭვირვალე, ვალიდური, სანდო და სამართლიანი სისტემის შექმნასა და მართვაზე.

შესაბამისად **ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.1. შეფასდა შესაბამისად, პროგრამის მიზნებისთვის გამოყენებული შეფასების სისტემა არის ვალიდური, სანდო, გამჭვირვალე, სამართლიანი, ობიექტური.**

2. ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები არეგულირებს ვერიფიკაციის პროცესს. შიდა ვერიფიკაცია ხორციელდება სამი მიმართულებით: შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; პროცესის ვერიფიკაცია; მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ვერიფიკაციის პროცესის განსახორციელებლად ვერიფიკაციის ჯგუფის შემადგენლობაში შესაძლებელია შევიდნენ: დარგის ექსპერტი, პროფ. მასწავლებელი, მოწვეული პირი, მემორანდუმით ან ხელშეკრულებით განსაზღვრული პირი, პირი სამინისტროს მიერ შექმნილი გუნდიდან, ან სხვა კომპეტენტური პირი, რომელიც არ მოდის ინტერესთა კონფლიქტში. ვერიფიკაციის ჯგუფი იქმნება კოლეჯის დირექტორი ინდივიდუალური ადმინისტრაციული-სამართლებრივი აქტის საფუძველზე. ვერიფიკაციის პროცესზე პასუხისმგებელი პირია ხარისხის მართვის მენეჯერი, რომელიც ხელმძღვანელობს ვერიფიკაციის პროცესს. იგი უფლებამოსილია თვითონ განახორციელოს ვერიფიკაციის ის ნაწილი, რომელიც არ მოითხოვს დარგის კომპეტენციას. ხარისხის მართვის სამოქმედო გეგმის ფარგლებში

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---

კოლეჯის ხარისხის მართვის მენეჯერი განსაზღვრავს კონკრეტული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის/პროგრამების სწავლის შედეგების ვერიფიცირების პერიოდს.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.2 შეფასდა შესაბამისად, პროფესიულ სტუდენტთა შეფასების სისტემა ითვალისწინებს ვერიფიკაციის მექანიზმს.

3. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად შეფასებასთან დაკავშირებული მტკიცებულებები ინახება კოლეჯის სასწავლო პროცესის მენეჯერთან პროფესიული სტუდენტისთვის კვალიფიკაციის მინიჭებიდან ან/და სტუდენტის სტატუსის შეწყვეტიდან 3 წლის განმავლობაში. შეფასების უწყისი ინახება უვადოდ.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ ინდიკატორი 2.4.2.3 შეფასდა შესაბამისად, პსდ უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას შეფასების უწყისის გაფორმებიდან 3 წლის ვადით.

4. სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის თანახმად პროფესიულ სტუდენტთა შეფასების შედეგები გამოყენებული უნდა იყოს შემდგომი განვითარებისათვის სხვადასხვა მიმართულებით: სტუდენტის შედეგების გაუმჯობესება, სტუდენტისათვის რეკომენდაციების გაცემა, პროგრამის განვითარება, მოდულების რიგითობის განსაზღვრა, სწავლების მეთოდები, შეფასების ინსტრუმენტი, საგანმანათლებლო რესურსები და სხვა. პროფესიულ სტუდენტს სხვადასხვა გზით აქვს კონსულტირების სერვისების მიღების შესაძლებლობა, როგორც უშუალოდ პროფესიული განათლების მასწავლებლისგან, ისე სასწავლო პროცესის მენეჯერისგან, როგორც ფორმალურ სასწავლო პროცესში, ისე სასწავლო პროცესის მიღმა, დამატებითი საათების განმავლობაში, ჯგუფური ან ინდივიდუალური აქტივობების განხორციელების გზით. აღნიშნული მექანიზმების პრაქტიკული გამოყენება დადასტურდა სასწავლო პროცესის მენეჯერთან და განმახორციელებლებთან გასაუბრებისას.

დასტურდება (მტკიცებულებები):

- ,,სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი'' (დამტკიცებულია დირექტორის 2019 წლის 13 დეკემბრის №04-152 ბრძანებით, ბოლო ცვლილება 2023 წლის 24 ნოემბრის №04-119 ბრძანებით);
- სსიპ - ილია წინამძღვრიშვილის სახელობის კოლეჯის ხარისხის უზრუნველყოფის მექანიზმები (დამტკიცებულია კოლეჯის დირექტორის 2019 წლის 11 მარტის ბრძანებით №04-26, ბოლო ცვლილება 2022 წლის 9 მარტის №04-45 ბრძანებით);
-

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------

---

☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია
დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი
.....
.....
.....
.....

05.08.2025
თარიღი

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა: ----------
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: ----------
---